ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2018
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/18

შეკითხვა:

ყოფილმა კლიენტმა ადვოკატ „ბ“-ს წინააღმდეგ მიმართა სასამართლოს სარჩელით იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა ადვოკატი „ბ“. ადვოკატ „ბ“-ს სურს სოციალური ქსელის მეშვეობით საჯარო გახადოს მათ შორის განსახილველი დავის საკითხები, რაზეც ყოფილი კლიენტი თანხმობას აცხადებს, მათ შორის თანახმაა ადვოკატთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საჯარო დისკუსიებში მოცემული სადაო საკითხის ირგვლივ. დაარღვევს თუ არა ადვოკატი „ბ“ ეთიკურ ვალდებულებებს, თუ ის ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო დავის საკითხებს საჯაროს გახდის?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ პუნქტი: “დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად”.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით”.
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი: ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან

მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე“.

ადვოკატს პროფესიული ვალდებულება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდგომაც აკისრია, მათ შორის დაიცვას საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაცია. კონფიდენციალობის პრიცნიპის დაცვა არ არის შეზღუდული დროში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ ჩამოყალიბდეს და ადვოკატთან პირი მივიდეს იურიდიული რჩევის მიღების სურვილით, გაანდოს მისი საქმის დეტალები მას, ასეთ დროსაც კონსულტაციის მსურველი პირისგან მიღებული ინფორმაცია არის პროფესიული საიდუმლოება. ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსი უკრძალავს თავისი კლიენტის წინააღმდეგ გამოიყენოს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და მიაყენოს მის ინტერესებს ზიანი, მათ შორის ადვოკატის ვალდებულებაა პირადი ინტერესების და მესამე პირის მიზნებისთვის არ გამოიყენოს პროფესიული საიდუმლოება - გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს კლიენტის შესაბამისი თანხმობა.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არეგულირებს იმ შემთხვევებს, როდესაც დასაშვებია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. მოცემულ შემთხვევაში, შეკთხვიდან ირკვევა, რომ თავად ყოფილმა კლიენტმა წამოიწყო დავა იმ საქმის თაობაზე, რაზედაც ადვოკატი ადრე უწევდა იურიდიულ მომსახურებას. ადვოკატს სურს საჯარო გახადოს კლიენტის საქმიდან გამომდინარე მიღებული ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის საქმის თაობაზე მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ადვოკატის ქმედება წარმოადგენს მისი პირადი ინტერესების მიზნებისთვის პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას. შეკითხვაში აღნიშნულია, რომ კლიენტი თანახმაა მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია გამჟღავნდეს და თავად იყოს ჩართული ამ პროცესში.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე მიღებული კონკრეტული ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ამაზე თანხმობას აცხადებს, მათ შორის, თავად აპირებს მისი საქმის თაობაზე საჯაროდ ჩაერთოს ადვოკატის პირისპირ დისკუსიაში. ადვოკატმა ასეთ დროს, მნიშვნელოვანია დაიცვას ბალანსი და არ გაამჟღავნოს ისეთი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია ისეთ გარემოებებში, როდესაც სახეზე არ იქნება აპეკ-ის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებული შემთხვევები.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.